დადგენილება № 62/2020 - ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დავალიანების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის ერთჯერადად, სრულად დაფარვის შესახებ

დადგენილება № 62/2020
10 სექტემბერი, 2020

დადგენილება № 62/2020 - ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დავალიანების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის ერთჯერადად, სრულად დაფარვის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ" ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 სექტემბრის № 32 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დავალიანების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის პირველადი შენატანის ერთჯერადად, სრულად დაფარვისათვის გამოიყოს საქართველოს სამუსიკო ხელოვნების დარგის მოღვაწეთა პროფესიული კავშირიდან - 4000 (ოთხი ათასი) ლარი;
2. დაფინანსება განაწილდეს სტუდენტებზე, რომლებსაც აქვთ 2019-2020 აკადემიურ წელს დაგროვილი 50 სარეიტინგო ქულაზე მეტი;
3. დაფინანსება განაწილდეს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მაია ვირსალაძის № 456 მოხსენებითი ბარათში მითითებული სტუდენტზე/ებზე;
4. დაფინანსება განაწილდეს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანის თეა ბუაძის ამა წლის 5 სექტემბრის № 448 მითითებული სტუდენტზე/ებზე
5. დადგენილება დაეგზავნოს ფაკულტეტის დეკანებს, სასწავლო დეპარტამენტს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
6. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
7. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
8. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ.

თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე